საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-48

27/01/2022

ქ. თბილისი

„შპს ,,სამშენებლო კომპანია მამისონის“ სახიფათო ნარჩენების განთავსების (დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 აგვისტოს N 2-737 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 აგვისტოს N 2-737 ბრძანებით გაიცა ,,შპს ,,სამშენებლო კომპანია მამისონის“ სახიფათო ნარჩენების განთავსების (დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე'' სკოპინგის დასკვნა N 76 (31.07.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს ,,სამშენებლო კომპანია მამისონის“ სახიფათო ნარჩენების განთავსების (დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 6 აგვისტოს N 2-737 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,სამშენებლო კომპანია მამისონს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,სამშენებლო კომპანია მამისონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი